ТБИЛИСИ
МЕЖДУНАРОДНЫЕ ЛЕГКОАТЛЕТИЧЕСКИЕ СОРЕВНОВАНИЯ
1978
XIV
НА ПРИЗЫ ГАЗЕТЫ
ПРАВДА
16-17 ივნისი

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 116
(6171)
15
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი საერთაშორისო ასპარეზობის წინ

გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე მძლეოსანთა XIV საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებს

ძვირფასო მეგობრებო, პატივცემულო საზღვარგარეთელო სტუმრებო,

საბჭოთა კავშირის მძლეოსნებო!

ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრების ორგანიზატორების, სსრ კავშირში „სპორტის დედოფლის“ მოყვარულთა მრავალმილიონიანი არმიის სახელით გულითადად მოგესალმებით საზღვარგარეთისა და საბჭოთა კავშირის უძლიერეს მძლეოსნებს, რომლებიც ამ დღეებში შეიკრიბეთ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის შესანიშნავ სპორტულ ნაგებობაზე. ყველა მონაწილეს, სპორტულ არბიტრსა და ფიზკულტურულ მუშაკს ვულოცავთ შეჯიბრების დაწყებას, რომელშიც „პრავდის“ პრიზები თამაშდება.

ახლანდელი ასპარეზობა იმ დროს მიმდინარეობს, როდესაც მთელი ჩვენი პლანეტა ემზადება მსოფლიოს უდიდესი სპორტული ფორუმისთვის — მოსკოვის 1980 წლის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის. თუმცა, მოსკოვის ოლიმპიადამდე კიდევ ორი წელიწადია დარჩენილი, თქვენს გამოსვლაში უკვე იგრძნობა ოლიმპიური სულისკვეთება, მწვავე სპორტული მეტოქეობისა და რეკორდებისთვის ბრძოლის დაუცხრომელი სწრაფვა.

დაე, ეს შეჯიბრება ყველა თქვენგანისთვის მოსკოვის ოლიმპიური სტარტების მნიშვნელოვან ეტაპად იქცეს, რათა 1980 წელს ლუჟნიკში სწრაფი სირბილი, შორი ტყორცნები, მაღალი ნახტომები გეჩვენებინოთ.

გვწამს, რომ საბჭოურ მიწაზე ახლანდელი სტარტები და 1980 წლის შეჯიბრებანი საშუალებას მოგცემენ კიდევ უფრო კარგად გაეცნოთ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისთვის.

მთელი სულითა და გულით ვუსურვებთ შეჯიბრების ყველა მონაწილეს ბედნიერ სტარტებსა და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე თბილისის ტურნირი მოემსახურება სპორტული ოსტატობის ამაღლებას, მთელი მსოფლიოს ხალხების დაახლოებას.

გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო კოლეგია, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, სსრ კავშირის მძლეოსნობის ფედერაცია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს სსრ მძლეოსნობის ფედერაცია, თბილისის სახალხო დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.

სტუმრები, სტუმრები...

ახლა თბილისის აეროპორტია მთავარი ჭიშკარი, საიდანაც დედაქალაქში მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილე სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო ათლეტები შემოდიან. ამ სურათზე აღბეჭდილია აფრიკის ქვეყნების მძლეოსანთა ერთი ჯგუფის ჩამოსვლის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

თბილისელი ვდოვინი ალჟირიდან

სპორტსაზოგადოებების დროშებით სახეამოდ მოურთავთ თბილისის აეროპორტი; ეს სიმბოლური ნიშანი ყველას ატყობინებს, რომ ჩვენს დედაქალაქში სწორედ ამ საჰაერო ჭიშკრით შემოდიან „პრავდის“ პრიზებზე XIV საერთაშორისო მძლეოსნური ტურნირის მონაწილე ქვეყნების ათლეტები.

გუშინ მოსკოვიდან დილის თვითმფრინავს აფრიკის კიდევ სამი ქვეყნის — ალჟირის, გვინეისა და სიერა ლეონას სპორტსმენები მოჰყვნენ. ჩვენ მათ საქართველოს სპორტკომიტეტის საერთაშორისო კავშირების განყოფილების უფროსთან ა. მზარეულოვთან ერთად აეროპორტში შეეხვდით.

მოსაცდელ დარბაზში თარჯიმნებს სტუმრების შესახებ ზოგიერთი ცნობის შეგროვებაში დახმარება ვთხოვეთ.

შავსათვალიანი მამაკაცი მოგვიახლოვდა. ნაცნობი სახე ჰქონდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს კაცი აფრიკიდან თბილისში სტუმრად ჩამოვიდოდა, როგორც ალჟირის სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელი. მუქმა სათვალემ და ალჟირის მზემ ხელი შეგვიშალა მალე გვეცნო ჩვენი ძველი მეგობარი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ აღიარებული სპეციალისტი ვიქტორ ვდოვინი, რომელიც აგერ მეოთხე წელია ალჟირში აღგილობრივ მკვიდრთა მძლეოსნობაში დაისტატებს ემსახურება და თითქმის ორი წელია მშობლიურ თბილისში არ ჩამოსულა.

ეს ის ვიქტორია, რომელსაც საქართველოს „სპორტის დედოფლისთვის“ არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა მოუძებნია და აღუზრდია. სწორედ მასთან აიდგა ფეხი ურის ტყორცნაში საქართველოს რეკორდსმენმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ჯ. ფხაკაძემ, რომელიც ამ ასპარეზობაშიც გამოცდის ძალებს.

— თქვენი რესპუბლიკის შესახებ ბატონ ვიქტორისგან ბევრი კარგი გვსმენია და სიხარულით მოვეშურებოდით ჩვენი მასწავლებლის სამშობლოს სანახავად. მართალია, ჯერ აეროპორტს არ გავშორებივართ, მაგრამ ასე გვგონია, თითქოს შინ ვიყოთ. ვფიქრობ, ნანახი მოსმენილს აჯობებს, — გვეუბნება ვდოვინის ალჟირელი მოსწავლე, ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ამ ქვეყნის რეკორდსმენი ჰამიდ საჰილი, რომლის საუკეთესო შედეგი — 214 სმ წლეულს საუკეთესო შედეგია აფრიკაში.

ვიქტორი მისი რეკაციანი გუნდის ზოგიერთ სხვა წევრსაც გვაცნობს. ბენ ახმედ რეზკი ჭოკით მხტომელია, მისი წლევანდელი მაჩვენებელი (480 სმ) წლეულს საუკეთესოა მის ქვეყანაში, თუმცა ალჟირის რეკორდი, რომელიც ვ. რაჰელს ეკუთვნის, 526 სანტიმეტრს უდრის.

— ეს მოჰამედ აისავია, ეს იბრაჰიმ ამური, ეს მეზიან ბრაჰრმი, ესეც ჩვენი ერთადერთი სპორტსმენი ქალი ემინა ბურზამა, — რიგრიგობით გვაცნობს მათ და ცალცალკე ახასიათებს, ამბობს, რომ რეზკიმ ალჟირის ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა სპეციალობით მუშაობს, რომ ისინი თბილისში სხვადასხვა დისტანციაზე რბენაში, ხტომაში ცდიან ძალებს.

— ამ დღეებში ერთმანეთს იქნებ ველარც კი შევხვდეთ, ამათ ერთ წუთსაც ვერ მოვშორდები. განზრახული გვაქვს ალჟირში ხელცარიელნი არ დავბრუნდეთ. იმ ქვეყნის რამდენიმე რეკორდი მაინც უნდა გავაუმჯობესოთ, — გვიხსნის ვდოვინი და თავის აღსაზრდელებს კარგებსკენ მიუძღვება: სამახსოვრო სურათის გადაღება სურთ.

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათზე: ალჟირელ მძლეოსანთა ერთი ჯგუფი მწვრთნელ ვ. ვდოვინთან ერთად თბილისის აეროპორტის შესასვლელთან.

ა. კოტორაშვილის ფოტო.



სურათზე: გვინეელები მ. ჯაკიტი და ბ. ბანკურა, რომლებმაც თბილისში პირველად შემოდგეს ფეხი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

თბილისელი ვდოვინი ალჟირიდან

დასასრული

ჩვენ ამასობაში სიერა ლეონას სპორტული დელეგაციის წევრთა — მარათონელ იბრაჰიმ სუმაკეტასთან, მწვრთნელ ნიკოლას ნიკულასთან, 1500 მეტრზე მორბენალ ჯალთან ჰანა ბანცამოსთან საერთო ენის გამონახვას ვცდილობთ. ზოგს ენესტების ენით, ზოგსაც თარჯიმნის დახმარებით ვაგებინებთ, კეთილად მოსვლას ვულოცავთ და ჩვენს დედაქალაქში „დინამოს“ სტადიონზე წარმატებას ვუსურვებთ.

გვინეელებთან კი მზარეულოვი გვიწევს თარჯიმნობას.

19 წლის მოჰამედ ჯაკიტი 100 და 200 მეტრზე რბენაში თავისი ქვეყნის ჩემპიონობას ზედიზედ ორი წელია ინარჩუნებს. ბამალა ბანკურას კი 500 მეტრზე ასპარეზობაში წლეულს ანგოლაში გამართულ მეგობრობის ტურნირზე ოქროს მედალი მოუპოვებია.

ეს ყმაწვილი გულღიად იღიმება და ქათქათა თეთრ კბილებს აჩენს: „ვეცდები თბილისში თავი არ შევირცხვინო, მინდა გამარჯვება მოვიპოვო, რომ თქვენი დედაქალაქის ხსოვნა დიდხანს გამყვეს“, ამბობს იგი.

...სტუმრები სასტუმრო „აპარისკენ“ სპეციალური ავტობუსით მიემგზავრებიან. ჩვენც ქალაქის ცენტრისკენ მივეშურებით, რომ მალე ისევ აეროპორტისკენ ავიღოთ გეზი — უცხოელ და საბჭოთა სპორტსმენების ახალ ნაკადს შევხვდეთ. მომავალი ბრძოლების მონაწილეთა ძირითადი ჯგუფი გუშინ საღამოს გვეწვია, უფრო მეტი დღეს დილით ჩამოდის.

თბილისი თანდათან ივსება „სპორტის დედოფლის“ რაინდებითა და ფერიებით, რომელთა ორდღიანი უშედეგოთო ბრძოლები უთუოდ მოხიბლავს მასპინძლებს, უეჭველია, კეთილ სამსახურს გაუწევს ქართული მძლეოსნობის წინსვლასაც.

ო. გელაშვილი.

ასე იზრდებოდა

ისტორიიდან

აი, უკვე 16 წელიწადია, რაც ჩვენი ქვეყნის სპორტული დონისძიებათა კალენდარში გაჩნდა ახალი მძლეოსნური შეჯიბრება — ტურნირი გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე. თავდაპირველად მისი პროგრამა მხოლოდ რბენას შეიცავდა, რომელმაც 1968 წლის რიგი მეოთხე გათამაშებაში (მოსკოვი) 12 სახეობას მიაღწია. ამ ასპარეზობის გმირი საბჭოთა მძლეოსანი, კიეველი ევგენი არუანოვი იყო, რომელმაც საშუალო დისტანციებზე მსოფლიოს საუკეთესო მორბენლები დაამარცხა. საბუთუხარად, მაშინ შედარებით სუსტად გამოკიდდნენ საბჭოთა სპრინტერები. მხოლოდ ერთმა მათგანმა, ნატალია ბურდამ (სარატოვი) შეძლო გამარჯვების მოპოვება 200-მეტრზე. ასპარეზობაში 10 ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ.

მომდევნო, 1969 წელს მძლეოსნები კვლავ შეიკრიბნენ ლუჟნიკში, ამჯერად სტარტზე ვიხილეთ შვიდი ქვეყნის სპორტსმენები. შეჯიბრების პროგრამა ახლა რბენის 16 სახეობამდე გაიზარდა. ნაჩვენები იქნა მთელი რიგი მაღალი შედეგები, მონაწილეებმა დაამყარეს რამდენიმე რეკორდი.

მორიგი, მეექვსე შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე 1970 წელს გაიმართა. ლუჟნიკის სტადიონზე 10 ქვეყნის დროშები ფრიალებდა. დიდ წარმატებას მიაღწიეს არა მარტო ჩვენმა სტაიერებმა (ვ. კუდინსკი, რ. შარაფეტდინოვი), არამედ სპრინტერმა ნადეჟდა ბესფამილნაიამაც, რომელმაც გაიმარჯვა ორ დისტანციაზე — 100 და 200 მეტრზე. მძლეოსნები უკვე რბენის 18 სახეობაში გამოდიოდნენ.

1971 წელს სპორტსმენები ესტონეთის დედაქალაქში შეიკრიბნენ. შეჯიბრების პროგრამა კვლავ გაიზარდა წინა ასპარეზობის ლაურეატებმა ბესფამილნაიამ და შარაფეტდინოვმა კვლავ მიაღწიეს წარმატებას. ტალინის სტარტების მთავარ სიურპრიზად ყველა თვლიდა ოლიმპიური ჩემპიონის, შუბისმტყორცნელი იანის ლუსისის დამარცხებას „მეორე იანისთან“ — ახალგაზრდა თანგუნდელ იანის დონინთან.

ერთი წლის შესვენების შემდეგ ტურნირი გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე კვლავ მოსკოვში დაბრუნდა. ხუთი დღის განმავლობაში 13 ქვეყნის მძლეოსნებს ცხარე ბრძოლები ჰქონდათ სარბენ ბილიკებსა და სექტორებში. ეს გახლდათ გენერალური რეპეტიცია 1972 წლის ოლიმპიური თამაშების წინ. ამიტომ იყო, რომ პროგრამის (მას ახლა ხუთჯიდი და ათჯიდიც დაემატა) თითქმის ყველა სახეობაში მწვავე მეტოქეობა იგრძნობოდა. სწორედ ამ შეჯიბრებაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვიქტორ სანეევმა სარეკორდო ალამი 16 მეტრსა და 77 სანტიმეტრზე გადასწია. დამაჯერებლად გაიმარჯვა ოდესელმა ათჯიდიელმა ნიკოლოზ ავილოვმაც, რომელმაც შემდგომში მიუნხენის ოლიმპიადაზე ქვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა.

1973 წელს მეცხრე შეჯიბრებაზე განსაკუთრებით ისახელეს თავი მოსკოველმა ზოია სპასოვსკაიამ (ხუთჯიდი) და ლენინგრადელმა რუდოლფ ზიგერტმა. სულ გაუმჯობესებული იქნა ამ ტურნირის 16 უმაღლესი მიღწევა. ერთი მათგანე აკუთვნოდა მოსკოველ ალექსანდრე ქორნელიუკს — 100 მეტრი 10,2 წამში.

ხვალ

16 ივნისს (18 ს.)

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე

საზეიმოდ გაიხსნება

მძლეოსანთა XIV საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე

●

შეჯიბრების დასაწყისი 15 ს.

გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე მომდევნო ასპარეზობა ორ ქალაქში ჩატარდა — მოსკოვსა და ოდესაში. სამხრეთის ამ ქალაქში მრავალჯიდელები ასპარეზობდნენ. ქალთა შორის უძლიერესი იყო ლენინგრადელი ლიუდმილა პოპოვსკაია, ვაჟებში — მოსკოველი ნიკოლოზ კოზანოვი. ლუჟნიკის სტადიონის ლაურეატები გახდნენ ლიუდმილა ბრაგინა, ნადეჟდა ილინა, ნადეჟდა ჩიჟოვა, თეინა მელნიკი, ვლადიმერ აბრამოვი, ალექსი სპირიდონოვი.

21 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ ამ ტრადიციული, რიგით მე-11 საერთაშორისო ასპარეზობის სტარტზე, რომელიც სოჩში 1975 წელს გაიმართა. ამ საკურორტო ქალაქის სწრაფ ბილიკებზე და სექტორებზე (მოგეხსენებათ, აქაც „სპორტანია“ დაგებული) ჩვენი ტურნირის 8 უმაღლესი მიღწევა გაუმჯობესდა. რაც მთავარია, ამ საინტერესო შეჯიბრების სტარტზე პირველად ვიხილეთ მძლეოსნები ბანგლადეშიდან, გვინეიდან, კონგოდან, ესპანეთიდან, პორტუგალიიდან, საბერძნეთიდან, პერუდან, ერაყიდან, ალჟირიდან, შეიეცარიიდან.

გადავფურცლოთ გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე საერთაშორისო შეჯიბრების ისტორიის კიდევ ორი ფურცელი — 1976 და 1977 წლებისა...

1976 წელს სოჩის სტადიონზე 20 ქვეყნის მძლეოსნები შეიკრიბნენ, რომლებიც პროგრამის 32 სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს „პრავდის“ პრიზებს. პირველ ყოვლისა აქ აღსანიშნავია ურუმტყორცნელის იური სედიხის წარმატება, რომელმაც მსოფლიოს ახალი რეკორდი დამყარა. ამ შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა კიდევ რამდენიმე მაღალი შედეგი.

1977 წლის 28 მაისს კვლავ სოჩში აიღო სტარტი XIII ტრადიციულმა გათამაშებამ, რომელშიც 18 ქვეყნის წარმომადგენლები გამოვიდნენ. ეს იყო მძლეოსანთა ყველაზე დიდი სტარტი მონრეალის ოლიმპიადიდ შემდეგ. საინტერესოა, რომ სოჩის სტარტებს მოჰყვა კიდევ რამდენიმე დიდი შეჯიბრება: სსრ კავშირ — გფრ-ის და სსრ კავშირ — აშშ-ის მატჩები, ძმები ზნამენსკების მემორიალი, ევროპისა და მსოფლიოს თასების გათამაშება. სოჩში 15 ქვეყნის 100-მდე ჟურნალისტი ჩამოვიდა. „სპორტის დედოფლის“ ადგილობრივი გულშემატკივრები და ამ საკურორტო ქალაქში მყოფი დამსვენებლები მოწმენი გახდნენ საინტერესო შეჯიბრებაში ნაჩვენები მთელი რიგი მაღალი შედეგებისა. სოჩის სარბენ ბილიკებსა და მძლეოსნურ სექტორებზე დამყარებულ იქნა რამდენიმე საკავშირო რეკორდი. განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწიეს ჩვენმა ქალებმა ლ. მასლაკოვამ, ტ. ანისიმოვამ, ტ. გერასიმენკომ, ნ. გორბაჩოვამ და სხვებმა.

იმედია, რომ ჩვენი ახალი შეჯიბრებაც გაახარებს მძლეოსნობის მოყვარულებს!

ვ. ოტკალენკო,
გაზეთ „პრავდის“ სპორტული მიმომხილველი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

მსაჯები თუ „გულშემატკივრები?“

ფრიად საპატიო და პასუხსაგებია მსაჯის როლი ყოველი რანგის შეჯიბრებისას. არბიტრის სწორ და სამართლიან გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულია არა მარტო ასპარეზობის ტექნიკური შედეგები... ტექნიკური შედეგები შეჯიბრების გარეგნული „მშშალი“ სახეა, რომლის მიღმაც ადამიანურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთობათა მთელი რიგი პრობლემებიც დგას. სწორედ ეს ვნებათა ღელვა და შინაგანი დრამატიზმი ხდის სპორტს საინტერესოს, სწორედ ამით იზიდავს იგი მილიონობით გულშემატკივარს. სპორტული შეჯიბრების დროს გრძნობები უკიდურესად მძაფრდება და მსაჯის გადაწყვეტილებას აქ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. სპორტსმენი უნდა ენდობოდეს მას! იგი ამ გადაწყვეტილებაში სამართლიანობას უნდა ხედავდეს.

სამწუხაროდ, არიან ისეთი მსაჯები, რომლებიც არად აგდებენ თავიანთ სამატიო მოვალეობას და, საითაც დასჭირდებათ, იქით აბამენ ყურს „ქოთანს“.

ფაქტიო?! — არ დაიჯერებს ბევრის მნახველი, მაგრამ მაინც რეტიმისტი სპორტის გულშემატკივარი. კი ბატონო!

ახლახან თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სპორტულ დარბაზში ჩატარდა თბილისის მოსწავლეთა პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ეს შეჯიბრება იყო საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ერთგვარი უფერტიურა, სადაც ერთხელ კიდევ უნდა შემოწმებულიყო დედაქალაქის ნაკრების წევრთა მზადყოფნა. სასპარეზოდ დაშვებული იყო ყველა თანრიგის სპორტსმენებიც, რათა გამოცდილი კოლეგების გვერდით ეცადათ ძალა.

სწორედ აქ მოხდა ის, რამაც მთელი ეს შესავალი დაგვაწერინა.

შეჯიბრების დროს მთავარი არბიტრი (საკავშირო კატეგორიის მსაჯი ნ. სალუქვაძე) იძულებული იყო ხშირად მიეხმო თავისთან ასპარეზობის მსაჯები, რადგან ერთი და იგივე სპორტსმენის შეფასებისას მათ მიერ დემონსტრირებული ქულები იმდენად მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ მაგალითად, ერთ მომენტში შეფასების მინიმუმი 5,5 ქულა იყო, ხოლო მაქსიმუმი — 7,5 — მთელი ორი ქულის სხვაობა! რაშია საქმე, მსაჯობა ახალბედებს მიანდეს და ქულებს შორის კონტრასტი მათი გამოუცდელობის შედეგი იყო? რა მოგახსენოთ, — ყველა მათგანი მწვრთნელი იყო და, ცხადია, სპორტსმენთა მოკრძალობის ნიუანსებშიც მშვენივრად ერკვეოდნენ. „შეცდომების“ მიზეზი, ვფიქრობთ, ის გახლდათ, რომ ზოგიერთი მათგანი დაუფარავად ცდილობდა თავისი აღსაზრდელისთვის მაღალი ქულა დაეწერა, ხოლო „სხვისთვის“ — რაც შეიძლება... დაბალი. ეს ყველაფერი ხდებოდა შეუპოვრად, დემონსტრატიულად და, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, აღსაზრდელთა თვალწინ.

კიდევ ერთხელ დავატრიალოთ „კადრი“ უკან და გულდასმით გავაანალიზოთ მოვლენათა მსვლელობა. ის, რომ აშკარად სუბიექტური მსაჯობით გამოწვეულმა ხელოვნურმა „ანტრაქტებმა“ საგრძნობლად გადასწია შეჯიბრების დამთავრების დრო, გაანერვიულა სპორტსმენები და მაყურებლები, ყველაზე ნაკლები დანაშაულია. აქ მთავარი ისაა, რომ, არცთუ იშვიათად, ამ ვაიმწვრთნელ-მსაჯთა წყალობით სპორტსმენი თავისთვის შეუფერებელ მაღალ ადგილს იკავებს, რის გამოც ნაკრების დაკომპლექტებისას შედარებით სუსტ სპორტსმენს პრეტენზია უჩნდება რჩეულთა შორის მოხვედრისა. თუ ეს ასე მოხდა, და ასეთ სპორტსმენს მიეცდო ჩვენი რესპუბლიკის ღირსების დაცვა. დიდი ფანტაზია როდია საჭირო მისი შედეგების პროგნოზირებისთვის.

და ეს ყველაფერი მოხდა იმის გამო, რომ მსაჯი-მწვრთნელი ანგარებით მიუდგა საერთო საქმეს.

დღეს იწყება საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ასპარ[illegible] ბა მხატვრულ ტანვარჯიშში. [illegible] გვაქვს, შეჯიბრების ორგანიზ[illegible] რები სხვა საორგანიზაციო სა[illegible] ხებთან ერთად კვალიფიციური [illegible] ჯობის ამ პრობლემატურ საკით[illegible] მოაგვარებენ.

ახლა კი მოკლედ გავაცნ[illegible] თბილისის მოსწავლეთა ბირადი [illegible] რველობის შედეგებს.

სპორტის ოსტატის პროგრ[illegible] მოასპარეზეთა შორის ამჯერად [illegible] რბიელზე ვერ ვიხილეთ საქართ[illegible] ლოს ჩემპიონი ირინე გაბაშვ[illegible] კვლავ ვერ ასპარეზზე საბჭოთა [illegible] ვშირის ნაკრების კანდიდატმა [illegible] ნა ელმაჩუკინამ, რის გამოც პირ[illegible] ლობის მთავარი პრეტენდენტ[illegible] რესპუბლიკის ნაკრების წევრი [illegible] რინე ხალილოვა გახდა. შეჯიბ[illegible] ბის მსვლელობამ ეს პროგნოზი [illegible] ამართლა, თუმცა მარინეს შესრ[illegible] ლებას აკლდა ჩვეული ოსტატ[illegible] მან მაინც I ადგილი დაიკავა (4[illegible] ქულა). ჩემპიონს ოდნავ ჩამ[illegible] ვა და მხოლოდ 0,55 ქულით ჩამ[illegible] ჩა ინგა სააკაშვილი (46,5 ქულ[illegible] III ადგილი წილად ხვდა ქეთ[illegible] კუჭავას (45,2 ქულა). სამივე [illegible] გონა თბილისის აკრობატიკისა [illegible] მხატვრული ტანვარჯიშის სპეც[illegible] ლიზებული სკოლის წარმომად[illegible] ნელია.

ჯ. კასრაძ[illegible]

● ● ●

ტექნიკური შედეგები

სპორტის ოსტატობის კანდიდ[illegible] ტები. 1. ვ. განჩუკოვა 43,25 ქულ[illegible] 2. ლ. ფეკლეშინა — 43,15 (ორ[illegible] — თბილისის აკრობატიკისა და [illegible] ტვრული ტანვარჯიშის სპეციალ[illegible] ზებული სკოლა), 3. თ. კურეგ[illegible] — 43, 05 (უმაღლესი დოსტატ[illegible] ბის სკოლა).

პირველი თანრიგი. 1. ნ. გრიშ[illegible] ვილი — 45,25, 2. ა. სოფაძე [illegible] 44,35, 3. ნ. ნონიევა (სამივე [illegible] თბილისის აკრობატიკისა და [illegible] ტვრული ტანვარჯიშის სპეციალ[illegible] ზებული სკოლა) — 44,05;

მეორე თანრიგი. 1. ვ. კუჭნა[illegible] — 34,3, 2. ნ. გოგოჩაშვილი [illegible] 33,1, 3. ნ. არაქელოვა (სამივე [illegible] პიონერთა სასახლის სპორტ[illegible] სკოლა) — 33,0;

მოზარდთა პირველი თანრიგ[illegible] 1. ი. ყიფშიძე (თბილისის [illegible] ბატიკისა და მხატვრული ტანვ[illegible] ჯიშის სპეციალიზებული სკო[illegible] — 36,65, 2. ი. გაიმეროვა — 34[illegible] 3. ე. ხელაძე (ორივე — კალინ[illegible] რაიონის სპორტული სკოლა) [illegible] 33,8.

სურათზე: ჩემპიონი მარინ[illegible] ხალილოვა.

ავტორის ფოტო.

ჯავშნიანი სასჯელი

ცხაკაია

დოსაფის რაიკომმა გამართა საქალაქო პირველობა, რომელშიც 20 კოლექტივი მონაწილეობდ[illegible] ტუვის მსროლელთა ამ ასპარ[illegible] ზობაში სასოფლო-სამეურნეო ტ[illegible] ნიკუმის ნაკრებმა იმარჯვა. მას მ[illegible] დაეცა საბჭოთა კავშირის გმირ[illegible] ა. წურწუმიას სახელობის თასი.

ე. გუგუნავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლა ხელახლა დაიწყო

მსოფლიოს XI ჩემპიონატი

გათამაშების პირველი რაუნდის მერე არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე მოეწყო მცირე შესვენება, რის შემდეგ კვლავ განახლდა ბრძოლა ოქროს მედლებისთვის. 8 გუნდმა დატოვა არგენტინა და დაუბრუნდა თავის ქვეყანას, ხოლო ამდენივე უძლიერესი დარჩა ასპარეზობის გასაგრძელებლად. გუშინ გაიმართა 4 მატჩი: ბფრ — იტალია, ჰოლანდია — ავსტრია, პოლონეთი — არგენტინა, პერუ — ბრაზილია.

განვლილი მცირეხნიანი შესვენება, უფრო სწორად, 24 საათი მოუნდა იმის დადგენას, თუ ვინ იქნებოდა გამარჯვებული „ა" და ვინ „ბ" ფინალურ ჯგუფში. ვერა და ვერ გაირკვა პირველი ორი ადგილი III წინასწარ ჯგუფში. მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი 15 აგვისს შემადგენლობით რამდენიმე საათის მანძილზე თათბირობდა ამ ჯგუფში გამარჯვებულის თაობაზე. თათბირის შემდეგ ჟურნალისტთა წინაშე წარსდგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი რ. კურტიე და განაცხადა: „ჩვენ შეცდომა დაეშვით, როცა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების წესებში დავტოვეთ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო პარაგრაფი, რამაც გამოიწვია ეს უთანხმოებანი. ორგკომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ვიხელმძღვანელოთ № 6 პარაგრაფით, რომლის თანახმადაც მესამე 24-ე სტატიის № 6 პარაგრაფში წერია შემდეგი: „თუ ორ ან უფრო მეტ გუნდს აღმოაჩნდა ქულათა თანაბარი რაოდენობა და გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი სხვაობა, უპირატესობა მიეცემა მას, ვინც მეტი ბურთი გაიტანა". თითქოს ყველაფერი ცხადი და ნათელია. მაგრამ იმავე სტატიის № 7 პარაგრაფში არის სხვა განმარტებაც: „თუ ერთი ჯგუფის **ორ ლიდერ გუნდს** აქვს ქულათა თანაბარი რაოდენობა და გატანილი და მიღებული ბურთების ერთნაირი სხვაობა, გამარჯვებულის საკითხი უნდა გადაწყდეს წილისყრით".

ბრაზილიელები ფორმალურად მართალი იყვნენ, მაგრამ ორგკომიტეტმა მიიჩნია, რომ ავსტრიელთა შედეგი უფრო შეესატყვისება სპორტულ პრინციპებს და უპირატესობაც მათ მიენიჭათ.

როგორც კი საბოლოოდ დადგინდა 2 ფინალური ქვეჯგუფის შემადგენლობა, არგენტინაში კვლავ დაიწყო პროგნოზების ხანა. უმეტესობას მიაჩნია, რომ „ა" ჯგუფი, რომელიც მთლიანად ევროპის გუნდებისგან შედგება, უფრო ძლიერია და ყოველ მათგანს შეუძლია გავიდეს ფინალში. „ბ" ჯგუფში შედარებით სუსტად მიიჩნევენ პერუს გუნდს, თუმცა იქვე უკმეტებენ კომენტარს, რომ პერუელებმა ამ ჩემპიონატში ძალზე ძლიერა თამაში აჩვენეს.

თავიანთ ახრს გამოთქვამენ მწვრთნელებიც.

— ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ დამარცხება პირველ მატჩში ყოველგვარი იმედის გადაწურვას ნიშნავს. — განაცხადა გფრ-ის მწვრთნელმა ჰ. შიონმა. — იტალიელთა გუნდი ძალზე ძლიერია, რაშიც კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა ხელახლა ვნახეთ ვიდეოჩანაწერით მისი თამაშები წინასწარ ჯგუფში.

იტალიელთა მწვრთნელს ე. ბეარზოტს მიაჩნია, რომ ამ ჯგუფში პირველი ფავორიტია ჰოლანდიის გუნდი: „ჰოლანდიელებმა თანაბრად განვლეს წინასწარი ტურნირი; გაიანაღდეს მეორე წრეში გასვლა და ახლა შეეცდებიან ფინალში მოხვედრას".

ჰოლანდიელთა მწვრთნელი ე. ჰაპელი ეჩივის წამყვან მოთამაშეთა ტრავმებს, კერძოდ ნეესკენსისა და სურბიერის დაშავებას, მაგრამ განვლილ მატჩებში ნეესკენსი არ წარმოადგენდა წამყვან ფიგურას გუნდში, სურბიერს კი დირსეული შემცველი ჰყავდა ბრანდტსის სახით.

პირველ მატჩში ჰოლანდიელები შეხვდნენ ავსტრიელებს და საინტერესოა, რომ ამ ორი გუნდის მწვრთნელები ჰ. სენეკოვიჩი და ე. ჰაპელი 1958 წელს ერთად თამაშობდნენ ავსტრიის ნაკრების შემადგენლობაში შვეიცის მსოფლიო ჩემპიონატზე.

გფრ-ისა და ტ. ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატში უკანასკნელად ერთმანეთს შეხვდნენ 8 წლის წინ მექსიკაში. ეს იყო დრამატული ნახევარფინალი, რომელიც დამატებით დროში მოიგეს იტალიელებმა — 4:3. მაშინდელი შემადგენლობიდან მწყობრში დარჩნენ მხოლოდ გერმანელთა მეკარე მაიერი და მცველი ფოგთსი.

გაცხარებულ საქმიანობაში არიან სტატისტიკოსებიც. მათ გამოიანგარიშეს, რომ პოლონელთა კაპიტანი დეინა ემზადება ეროვნულ ნაკრებში მესამე მატჩის ჩასატარებლად, რომ ჩემპიონატის ყველაზე ხნიერი მოთამაშეა ჰოლანდიელი მეკარე იონგბლადი (38 წლისა), ხოლო ყველაზე ახალგაზრდა — პოლონელი ფეხბურთელი ივანი (19). მათ გამოაქვეყნეს ცნობა, რომ არგენტინაში იმყოფება ერთადერთი კაცი მსოფლიოში, რომელიც ესწრებოდა თერთმეტივე მსოფლიო ჩემპიონატს. ესაა ფიფა-ს აღმასკომის წევრი მ. ანდრეევიჩი (იუგოსლავია), რომელიც პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე 1930 წელს ურუგვაიში ჰოლანდიის ნაკრების ხელმძღვანელი იყო.

ჩემპიონატის განახლების წინ სნაიპერთა სიას ლიდერობდა პერუელი კუბილასი. არბიტრებმა 24 მატჩში 24-ჯერ აჩვენეს ყვითელი ბარათი და ორჯერ — წითელი. მხოლოდ ავსტრიისა და პოლონეთის გუნდებს არა აქვთ დარღვევები, დანიშნული იქნა 11 პენალტი, თითოეულ მატჩს საშუალოდ ესწრებოდა 43 ათასი მაყურებელი.

ფეხბურთი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

I ჯგუფი

„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

ჯერ ფანჩულიძემ, ხოლო შემდეგ დადუნაშვილმა თითო ბურთი გაიტანეს „ეგრისის" კარში. ცხაკაიელებმა მხოლოდ ერთი გოლის გაქვითვა შეძლეს (გუნია).

„სპარტაკი" (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

სპარტაკელთა აშკარა უპირატესობა დამთავრდა სტუდენტთა კარში გატანილი 3 გოლით (1 — ჩაჩხიანი, 2 — ხუბერაშვილი).

„მზიური" (გალი) — „ივერია" (ხაშური) 0:0. მსაჯი შ. დუბროვინი (თბილისი).

„მეშახტე" (ტყიბული) — ასკ (თბილისი) 3:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).

ამ მატჩში პირველ წარმატებას მიაღწიეს არმიელებმა (მაისურაძე). ტაძის დასასრულს გუმბერიძემ გაქვითა გოლი, მერე კი გ. ბოჭორიშვილმა და ქარქაშაძემ დაწინაურეს „მეშახტე". აღსანიშნავია, რომ ამას გარდა ქარქაშაძემ ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა.

„მაღაროელი" (ჭიათურა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 3:1. მსაჯი ზ. ზუმბაძე (ახალციხე).

ჭიათურელთა საგრძნობი უპირატესობა აღინიშნა ოსაძისა (2) და მაღრაძის მიერ გატანილი გოლებით. „ამირანის" ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორი იყო შამათავა.

„მეტალურგი" (რუსთავი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 3:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ. პირველი 2 ბურთი გაიტანა არევაძემ, ხოლო მესამე — კუბატანიძემ.

„ნადიკვარი" (თელავი) — „დურუჯი" (ყვარელი) 2:1. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

„კოლხეთი" (ხობი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„კოლხეთი" (ფოთი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 4:1. მსაჯი გ. გაბისკირია (ხოხუმი).

პირველ ტაიმში სტუმრების კარში 2 ბურთი გაიტანა გუდავაძემ. 65-ე წუთზე კვარაცხელიამ შეძლო სხვაობის შემცირება ანგარიშში, მაგრამ ყურაშვილმა და სანაიამ კიდევ ორჯერ აიძულეს სტუდენტები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

„სქური" (წალენჯიხა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

პირველი ორმბრივი იერიშების შემდეგ წალენჯიხელმა ქვარაიამ კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა. 86-ე წუთზე გადელიამ მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო წუთის შემდეგ კარაევმა „სქურის" კარში მოათავსა საპასუხო ბურთი.

საქართველოს ჩემპიონატი

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლხეთი" ფ.	18	12	3	3	36—10	27
„მეშახტე"	17	12	3	2	23—7	27
„მერცხალი"	17	10	6	1	29—8	26
„მზიური"	18	11	4	3	29—13	26
„მეტალ." რ.	18	11	4	3	28—12	26
„მაღაროელი"	16	10	1	5	28—10	21
„ენერგეტ."	19	8	4	7	25—23	20
„კოლხეთი" ხ.	20	6	8	6	15—20	20
„ივერია" ხ.	20	7	6	7	14—19	20
„ჩიხურა"	18	7	5	6	22—14	19
„ამირანი"	20	7	5	8	16—25	19
„პოლ. ინსტ.	20	8	2	10	29—28	18
ასკ თბ.	19	5	8	6	19—18	18
ფიზკ. ინსტ.	18	8	2	8	23—30	18
„სპარტ." თბ.	18	6	5	7	19—20	17
„სქური"	20	6	4	10	23—27	16
„სალხინო"	19	5	6	8	19—31	16
„ნადიკვარი"	18	4	7	7	18—25	15
„მეტალ." ზ.	19	5	4	10	23—26	14
„ეგრისი"	20	3	7	10	14—25	13
„სპარტ." ცხ.	19	3	6	10	18—25	12
„დურუჯი"	19	4	2	13	12—33	10
„იბერია" ქ.	18	4	2	12	13—36	10

II ჯგუფი

I ზონა

„სიონი" (ბოლნისი) — „გიგანტი" (გამარჯვება) 3:0, „მესხეთი" (ახალციხე) — „განახლება" (ადიგენი) 2:1, „არაგვი" (მცხეთა) — „ფიჩხოვანი" (ახმეტა) 0:1, „აბული" (ახალქალაქი) — „ვარძია" (ასპინძა) 1:1, „თრიალეთი" (წალკა) — „ჰერეთი" (ლაგოდეხი) 2:2, „ცისკარი" (სიღნაღი) — „გნთიადი" (თბილისი) 3:4, „ალაზანი" (გურჯაანი) — „ქართლი" (გორის რაიონი) 2:2, „იორი" (თიანეთი) — „ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 1:1, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „გარისი" (თეთრი წყაროს) 1:0. აწყურის „სამცხეს" დამარცხება ჩაეთვალა საგარეჯოს „გარეჯთან".

II ზონა

„გიგახატი" (ლაითური) — „მექაღალდე" (ზუგდიდი) 3:2, „ოჯალეში" (ბანძა) — „ავტომობილისტი" (გაგრა) 4:1, „სამგურალი" (წყალტუბო) — „ნაკადული" (ჩხოროწყუ) 0:5, „ავტომობილისტი" (ბათუმი) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 0:3, „ავტომობილისტი" (მაიაკოვსკი) — „სულორი" (ვანი) 3:4, „ავტომობილისტი" (აბაშა) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:2, „სენაკი" (ცხაკაია) — „ჩამომსხმელი" (ბოჯომი) 1:1, „ნარეკვა" (მახარაძე) — „მეშაქრე" (აგარა) 2:1.

ყოველად დაუშვებელი, ხულიგნური საქციელისთვის მინდვრიდან იქნენ გაძევებულნი მახარაძის „მერცხლის" მოთამაშეები დ. სართანია, ტ. წიკლაური და გ. თენეიშვილი. მინდვრიდან გაძევებულ, აგრეთვე, ბათუმის „ავტომობილისტის" ფეხბურთელი ი. მახარაძე. თავაშვებულ ხულიგნებს, რომლებიც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებენ სპორტული ასპარეზობის მსაჯს, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს სპორტში.

მეორე გაფრთხილება მიიღო ჩოხატაურის „ბახმაროს" მოთამაშემ ს. რამიშვილმა, რომელიც დისკვალიფიცირებულია ერთი თამაშით.

გაფრთხილებული არიან შემდეგი მოთამაშეები: ა. ჯამბერიძე („ბახმარო", ჩოხატაური), ა. კარამოვი („გარისი", თეთრი წყარო), თ. გეგიაძე („მერცხალი", მახარაძე).

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა განიხილა გალის „ზზიურისა" და ფოთის „კოლხეთის" მატჩში მომხდარ დარღვევათა საკითხი. აღნიშნული შეხვედრის სამსაჯოდ გამოყოფილი იყო ბრიგადა ქუთაისიდან დ. აბუთიძის, ზ. თოდაძისა და ტ. ნიშნიანიძის შემადგენლობით. ზ. თოდაძე და ტ. ნიშნიანიძე არ ჩავიდნენ გალში, რისთვისაც მათ გამოეცხადათ სასტიკი საყვედური.

მატჩის 70-ე წუთზე გალელებმა გაიტანეს გოლი, რომელიც სტუმრებმა უკანონოდ მიიჩნიეს. ფოთელი ფეხბურთელები შემოეხვივნენ მსაჯს, მიაყენეს მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რის გამოც ამ უკანასკნელმა შეწყვიტა მატჩი. დ. აბუთიძემ ამ შემთხვევებში ვერ გამოიჩინა საკმარისი პრინციპულობა, ვერ გამოიყენა თამაშის წესებით გათვალისწინებული უფლებები და დროზე ვერ დაამყარა მინდორზე წესრიგი, რამაც საბოლოოდ საგალლო შედეგი გამოიღო.

მსაჯთა კოლეგიამ დაადგინა დ. აბუთიძეს 5 მატჩით აეკრძალოს საქართველოს ჩემპიონატის მომსახურება, აგრეთვე მიეცეს პირობითი დისკვალიფიკაცია 1979 წლის ბოლომდე.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

სპორტტექნიკურ კომისიაში

გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმისა და სპორტტექნიკური კომისიის გაერთიანებული სხდომა, სადაც განხილული იქნა რესპუბლიკის საფეხბურთო შეჯიბრებებში მომხდარ დარღვევათა საკითხები.

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში არაერთხელ შემოსულა სიგნალები იმის თაობაზე, რომ ყვარლის სტადიონზე რესპუბლიკური გათამაშების მატჩებში ხშირად უწესრიგობა, რომ აქაური ფეხბურთელები და მათი ხელმძღვანელები არ იჩენენ სათანადო ყურადღებას და პატივისცემას მსაჯების მიმართ. ამ სიგნალების დასაზუსტებლად სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ ყვარელში, ადგილობრივი „დურუჯისა" და ტყიბულის „მეშახტის" მატჩზე, სპეციალურად მიაელინა ავტორიტეტული ბრიგადა.

მატჩი მოიგეს ტყიბულელებმა ანგარიშით 1:0, ამასთან გატანილი გოლის თაობაზე არ შეიძლებოდა ორი აზრი ყოფილიყო: „დურუჯის" კარი აღებული იქნა წესების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ყვარელი ფეხბურთელები უხეშობდნენ, ეკამათებოდნენ მსაჯებს, რაც კი განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ დ. ავაზაშვილი და ვ. ღონღაძე. რაც შეეხება გ. ნერსეზაშვილს, მისმა თავხედობამ ყოველგვარ საზღვარს გადააცილა: მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს. წესრიგს არც მაყურებელი იცავდა. ტრიბუნებზე მსხდომ კომისიის წევრებს ადგილობრივ გულშემატკივართა ნაწილი მიმართავდა უშვერი სიტყვებით, საჭირო გახდა საქმეში მილიციის ჩარევა.

თავგასულ ფეხბურთელებს საკადრისი სასჯელი მიეზღოთ: გ. ნერსეზაშვილს საერთოდ აეკრძალა ფეხბურთის თამაში, ხოლო დ. ავაზაშვილი და ვ. ღონღაძე დისკვალიფიცირებული არიან 5-5 წლით.

წალენჯიხაში უნდა შემდგარიყო კალენდარული მატჩი ადგილობრივ „სქურსა" და საჩხერის „ჩიხურას" შორის. შეხვედრის სამსაჯოდ არ გამოცხადდა ბათუმელთა მსაჯთა ბრიგადა (მავიშვილი, ბაშკოვი, დავითიანი). საჩხერის „ჩიხურა" მინდორზე არ გამოვიდა სათამაშოდ იმ მოტივით, რომ ადგილობრივ მსაჯს, რომელსაც უნდა შეეცვალა ბათუმელი არბიტრი, თან არ ჰქონდა პირადობის მოწმობა. „ჩიხურას" მწვრთნელმა ა. ზამბახიძემ ეს საკმარისად მიიჩნია, რომ გუნდი არ გაეყვანა თამაშზე, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. საჩხერის „ჩიხურას" ჩაეთვალა დამარცხება, ხოლო ა. ზამბახიძეს გამოეცხადა საყვედური.

სერიოზულ დარღვევებს ჰქონდა ადგილი ლაგოდეხის „ჰერეთისა" და თბილისის „თოლიას", საგარეჯოს „გარეჯისა" და ლაგოდეხის „ჰერეთის", ბანძის „ოჯალეშისა" და ქობულეთის „შუქურას", ახალქალაქის „აბულისა" და წალკის „თრიალეთის" შეხვედრების დროს. ამ საკითხებზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სერიოზულად მოიკოქლებს დისციპლინა გაგრის „ავტომობილისტში". ეს გუნდი ჩხოროწყუში ეთამაშებოდა ადგილობრივ „ნაკადულს", სადაც ხულიგნურად იქცეოდნენ სტუმართა მოთამაშეები მ. კაკარავა და ა. ზაბუნიანი, რომლებმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს. მ. კაკარავა დისკვალიფიცირებულია სამუდამოდ, ხოლო ა. ზაბუნიანს აეკრძალა მონაწილეობის მიღება 5 მატჩში.

ი. მაღლიფშვილი,
სპორტტექნიკური კომისიის მდივანი.

საქართველოს სპორტკომიტეტში

ოლიმპიურ ნაკრებს—საიმედო რეზერვი

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიის მორიგი სხდომა.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზირებული სპორტული სკოლების მიერ სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრები გუნდებისთვის რეზერვების მომზადების საკითხი. აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაიზარდა ოლიმპიური რეზერვების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზირებული სპორტული სკოლების ქსელი, სრულყოფილ იქნა მოსწავლეთა შერჩევის სისტემა, რის შედეგადაც გაუმჯობესდა სკოლებში მუშაობის ხარისხი.

ამასთანავე ითქვა, რომ აღნიშნული სკოლების მუშაობაში შეიმჩნევა სერიოზული ხარვეზები. ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა სპორტის სახეობების განვითარების დაგეგმვას, სკოლების მალალკვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლებით დაკომპლექტებას.

სასწავლო-საწვრთნო პროცესი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. სპორტულ სკოლებში მომეცადინე 7500 სპორტსმენიდან მხოლოდ მცირე ნაწილია გაერთიანებული სპორტული დახელოვნებისა და უმაღლესი დაოსტატების ჯგუფებში.

სპორტკომიტეტის კოლეგიამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ოლიმპიურ რეზერვებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კოლეგიამ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადისთვის მზადების ბოლო ეტაპზე რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებზე სპორტის სახეობების მიხედვით პასუხისმგებელი მუშაკები.

კოლეგიამ, აგრეთვე, განიხილა რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადის მიმდინარეობის, რესპუბლიკის პროფტექსსწავლებლების საკავშირო სპორტულ თამაშებში მონაწილეობის, რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მოსწავლეთა საკავშირო XV სპარტაკიადისთვის მზადების მიმდინარეობისა და რესპუბლიკის მწვრთნელების სტაჟირების გაუმჯობესების საკითხები.

ასევე განიხილა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ო. ზურაბიანის მიერ ინდივიდუალური გეგმის შესრულების შესახებ. აღინიშნა, რომ ზურაბიანი არ მუშაობს გეგმის მიხედვით, არღვევს რეჟიმს, რამაც გამოიწვია მისი სპორტული შედეგების დაქვეითება. ო. ზურაბიანი გამოყვანილ იქნა საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან და დაისვა საკითხი საკავშირო სპორტკომიტეტის წინაშე საკავშირო ნაკრები გუნდიდან მისი გამოყვანის თაობაზე.

ხელბურთი

თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე ეტაპი („ბ“ ჯგუფში).

შეჯიბრების უკანასკნელ დღეს მინსკის ასკ-მ ანგარიშით 32:22 (16:12) მოუგო გროდნოს „პროგრესს“, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკმა“ დამარცხა ცსკა — 29:25 (14:12).

ამრიგად, თბილისის ტურში ადგილები ასე განაწილდა: 1. „ბურევესტნიკი“, 2. ასკ, 3. ცსკა, 4. „პროგრესი“.

პირველ ორ ადგილზე გამოსული თბილისისა და მინსკის ხელბურთელები თასის გათამაშების მეოთხე ეტაპზე გავიდნენ, სადაც მათ გარდა გამოვლენ აგრეთვე კაუნასის „გრანიტასი“ და მოსკოვის ოლქის „კუნცევო“.

წყალბურთი

წყალბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირში „შიოტურის თასზე“ მესამე დღეს გაიმარჯვეს კიევის „დინამოს“ სპორტსმენებმა. მათ დაამარცხეს უნგრეთის კლუბი — ბვსკ (7:4).

ორი ჩემპიონი და მრთი პრიზიორი

ბრესტში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 12 გუნდის 175 სპორტსმენი მონაწილეობდა. ჩვენი რესპუბლიკის გუნდი, რომელმაც III ადგილი დაიკავა, დაკომპლექტებული იყო თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური, ფიზკულტურისა და გორის პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლებით.

ბრესტელ ბურევესტნიკელებს ჩვენი ბიჭებიც ეგებოდნენ. ჩემპიონობა ჩვენ ბიჭებს ეკუთვნოდა. ბრესტელ ბურევესტნიკელებს ჩვენ ბიჭებს